




საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს მთავრობის დადგენილებები N 84 და N 86

2018 წლის 16 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N 86 „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N 136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.



აღნიშნული დადგენილების მიხედვით, მანამდე არსებულ რეგულაციაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა მიხედვით:

- შეიცვალა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გამცემი ორგანო და შესაბამისად, ლიცენზიების გამცემად გვევლინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტო;
- შეიცვალა აუქციონის ჩატარების წესი, რომლის მიხედვით, აუქციონი ტარდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით;
- ლიცენზიის მისაღებად ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიმართოს მხოლოდ ავტომატური მართვის საშუალებით - ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
- ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს ლიცენზიის გამცემი ანუ წიაღის ეროვნული სააგენტო.

ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან ერთად საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N 84 „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების შემოწმებისას სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილებით დამატებით განისაზღვრა სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მოპოვების, სარგებლობის, სახელმწიფო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ძირითადი პრინციპები და პროცედურები.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 20 თებერვლიდან.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 34/04

2018 წლის 23 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მიიღო ბრძანება N 34/04, რომლის მიხედვით, ცვლილებები შეეხო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N 93/04 ბრძანებას. ცვლილებების შესაბამისად ფასის მხოლოდ ლარით გამოხატვასთან დაკავშირებული მოთხოვნა არ ვრცელდება მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებას ან/და რეკლამირებაზე, თუ აღნიშნული უკავშირდება:

- ავიაბილეთების რეალიზაციას, სასტუმროს და ტურისტულ მომსახურებას, თუ აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ უცხო ენაზე. თუმცა ეს წესი არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ გარე რეკლამაზე;
- სასტუმროს ან/და ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ შეთავაზებაზე, თუ აღნიშნული მომსახურების საბოლოო მიმღებს წარმოადგენს არარეზიდენტი;
- არარეზიდენტის მიერ (მათ შორის, მისი მუდმივი დაწესებულების მეშვეობით) მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან; არარეზიდენტისათვის მომსახურების გაწევასთან ან/და სამუშაოს შესრულებასთან ან/და საქონლის მიწოდებასთან, თუ აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ უცხო ენაზე. ეს ნაწილი არ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ გარე რეკლამაზე.“

ბრძანების მიხედვით, მეწარმეები ვალდებული არიან, 2018 წლის 1 აპრილამდე, თავიანთი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანონ ამ ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ბრძანება ძალაშია და მოქმედებს 2018 წლის 23 თებერვლიდან.

შესაძლო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2018 წლის 22 თებერვალს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლო ცვლილებებს, მათ შორის:

- 88-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს;
- 90-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით;
- 309-ე მუხლის 94-ე და 95-ე ნაწილებს, რომელთა მიხედვით:
კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან.
- 309-ე მუხლის 99-ე ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის 98¹ მუხლის მიზნებისთვის:
ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;
ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის 2023 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.“
- 309 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 107-ე ნაწილი:

2018 წლის 1 იანვრამდე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტების მიმართ დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმები.
- უქმდება გრძელვადიანი კონტრაქტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური ნორმები.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge



deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2018 შპს დელოიტი და ტუშ. ყველა უფლება დაცულია.